გენდერული **დისკრიმინაცია** დასაქმებისას

დისკრიმინციაა, როცა:

განცხადებაში დაკონკრეტებულია აპლიკანტის სქესი და/ან მოთხოვნები, *რომელიც არ გამომდინარეობს შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან.*

გასაუბრების დროს კითხვები ეხება ოჯახურ მდგომარეობას, გეგმებს შვილების ყოლის შესახებ, ორსულობას

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში გენდერული დისკრიმინაცია, აღნიშნული საკითხები კანონმდებლობით უნდა რეგულირდებოდეს.

დღეისათვის საქართველოში ასეთი კანონმდებლობა არ არსებობს!

სხვა ქვეყნების კანონმდებლობა:

1 განცხადება

კანონით აკრძალულია იმგვარი განცხადების გამოქვეყნება, რომელიც აჩვენებს ნესმიერი პირის პრეფერენცირებას ან გამორიცხვას სამსახურში მიმართვისგან პირის სქესის გამო.

2 გასაუბრება

აკრძალულია გასაუბრებაზე პირადი ხასიათის კითხვების დასმა, როგორიცაა ოჯახური სტატუსი, ასაკი (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კანონი ამას მოითხოვს), პირადი ცხოვრება ან ოჯახური გეგმები.

3 დისკრიმინაცია სქესის ან ოჯახური სტატუსის გამო

დასაქმებისას აკრძალულია კანდიდატთა გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, მათ შორის კანდიდატის ოჯახური სტატუსის გამო.

4 დისკრიმინაცია ორსულობის გამო

შრომითი პირობების განსაზღვრისას აკრძალულია ისეთი ფაქტების მხედველობაში მიღება, რომელიც კავშირშია ორსულობასთან ან ითხოვს ორსულობის დადგენის მიზნით გამოკვლევის შესახებ ცნობის წარმოდგენას.

5 რეაგირება დისკრიმინაციის შემთხვევებზე

დისკრიმინაციის შესახებ ეჭვის არსებობისას, დამსაქმებელი ვალდებულია, წარმოადგინოს წერილობითი განმარტება შერჩეული კანდიდატის განათლების, მისი სამუშაო გამოცდილების და სხვა უნარების შესახებ, რომლებიც მოთხოვნილია სამუშაოსთვის; ასევე ის სხვა მიზეზები, რომელიც შერჩეულ პირს ანიჭებს მნიშვნელოვან უპირატესობას.

6 კონტროლის მექანიზმი

გენდერული თანასწორობის კომისიონერი, მონიტორინგს უწევს დისკრიმინაციის ფაქტებს, ეხმარება პირებს, რომლებიც თავს მიიჩნევენ დისკირმინაციის მსხვერპლებად, წარადგენს რეკომენდაციებს სხვადასხვა უწყებებისადმი და აქვეყნებს ანგარიშებს.

7 სანქციები დისკრიმინაციის შემთხვევაში

შრომითი დისკრიმინაციის დროს განსაზღვრულია ჯარიმისა და კონპენსაციის ოდენობა.

კვლევა ეფუძნება წარმატებული პრაქტიკებისა და გამოცდილებების შესწავლას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

შენ უნდა გიცავდეს კანონი!

მოითხოვე დასაქმების თანაბარი ხელმისაწვდომობა!

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
JumpStart Ge
ვიმუშაოთ თანასწორ გარემოში